

იმპერიალისტური



იახ. ი. ქოქიაშვილის

„... მალენკოვის სახელობის კოლეგიურნეობაში,  
სადაც თავმჯდომარეა ამს. ჩოხანიანი, 593 ქათამშე  
წლის განმავლობაში მიიღეს 674 კვერცხი, ე. ი. ერთ  
ქათამშე თითო კვერცხს ცოტა მეტი...“

ამს. კ. ჩირკვიანის მოხსენენიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენურზე

- აი, თურმე ვინ მოგვჭრა თავი საქვეყნოდ!
- თქვენ მართდა გაქრათ, ქა, რომ ამ ქათამმა კვერცხნახევარი ღარღო?
- ჩვენც სწორებ მაგას გვეკითხებიან.

### საუბარი საბურაოთან

**ბ ი კ ბ ი ბ ი ბ ი**

# 16. რაც არ უნდა განმეორდეს

“... ბევრი ნაკლი მტკ-ების მუშაობაში იმით ასხნება, რომ მათ საქმაოდ არ ხელმძღვანელობენ სოფლის შეურწყობის სამინისტრო და მისი მტკ-ების სამმართველო. მინისტრის მოადგილე ამზ. პატიაშვილი მუშაობაში ჯეროვან აქტივობის ვერ იჩენს. სამმართველო უფრო მიწვრ-მოწვერლი არის გართული, ვიდრე ოპერატიული მუშაობით....”

ამს. კ. ჩარკვიანის მოხსენებიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენურზე.

## 16b. კავკაშვილის აგ ეკაზია

— ახალქალაქის მეცხოველეობის სამანქანო საგურაში მუშაობა ჩაშრიდია? — მისწერეთ!

— თიბისის გეგმა 19,6 პროცენტით შეუსრულებიათ.

— კარგი, ალნიშნით. სხვას კიდევ რაღას გვატყობინებენ?


— სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 8,9 პროცენტს არ აღემატება.

— სასწრაფოდ უპასუხეთ... მე კი დღეიდან უკვე შეებუღებაში ვიტვები, ბოროს და ბოროს, მეც ხომ უნდა დავისვენო, დამლადა ამდენმა მიწერ-მოწერამ!



„... 1950 წლის დამდეგს მტკ-ს კვლავ მიეცა საჭირო თანხა და მასალები შენობის დასამიარებლად, მაგრამ ისინი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენეს. ამრიგად, კანტორის შენობა დაუმთავრებელია, ზოლო დირექტია მოთავსებულია კოლმეურნეობის სახლში, რომლის პირველ სართულში გახსნილია რაიკონკავშირის სასაუზმე, სადაც მაგარ სასმელებს ყიდიან და ხშირად იმართება ქეიფი...“

ამს. კ. ჩარკვიანის მოხსენებიდან  
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენურზე



## 16c. პანდელაძის კიბე და ბორისის მას-ი

— თუმცა შარშან კუთვნილი თანხა ვერ ავითვისეთ, მაგრამ წერს საჭირო თანხა და მასაღები ისევ მოგვცეს, ხომ ხედავთ როგორ ზრუნავს ჩვენზე სამმართველო...

— ჰოდა, ჩას იტყვი, სამმართველოს საღლეგრძელ მაინც არ გადავკრათ? კრება ხომ ჩავატარეთ!

# ს, თაც ათ უნდა განვითოდე

„... სოფელ პატარა დმანისის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ უქრმაში 1950 წლის 1 იანვრისათვის 24 ბატი ირიცხებოდა. თებურებალში ეს ბატები კოლმეურნებს დაურიგეს ის პირობით, რომ წლის ბოლოს ერთის ნაცვლად ორ-ორი ბატი დაებრუნებინათ. კოლმეურნების თავმჯდომარე ამხ. ურუმაშვილი ამაყალ აცხადებს, რომ ძალიან ჭრიანად მოიქცა: ბატების შენახვა კოლმეურნეობას არაფერი არ უჯდება, შემოდგომას კი 24 ფრთის ნაცვლად 48 ეყოლება“.


ამხ. კ. ჩარცელის მოხსენებიდან  
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტე-  
ტის პლენუმზე

## დანისები ანგარიში

— ბატის მოშენებას ყველაზე მეტი ხეირი მოაქვს ჩემთვის,—აბა იანგარიშე!—კოლმეურნები 24 ფრთის ნაცვლად, 48 ფრთას ჩამაბარებენ!  
— მე შენზე ჭკვიანად მოვიქეცი!—  
24 ფრთაში რომ 48 ჩამაბარეს, გეგ-  
მაში 96 ფრთა აღვნიშნე.  
— 96? ჩატომ?  
— ანგარიში ღაგავიწყდა? 48 ბატს  
ხომ 96 ფრთა აქვს!



ნახ. დანისა



## აურე ეკოს ერის ინდური?

— ანი ქათამი თვალით აღარ ღამანახოთ, გეგმას ჩაგვიშლის... ეს 10 ბატი ხომ 40 ქათამს უდრის. ახდა კიდევ მინაღორასაგან ორი ინდაური რომ შევიძინოთ, სურ რამდენი ქათამი იქნება? ხომ შევასრულებთ გეგმას 190 პროცენტით! ა!

„... დმანისის რაიონის სოფელ ზემო ყარაბულაშის მოლოტოვის სახლობის კოლმეურნების გამეობამ გასული წლის სექტემბერსა და ოქტომბერში კოლმეურნებისაგან შეიძინია 70 ქათამი. მაგრამ რადგან ფრინვლის სულადობის გეგმის შესარულებლად ეს არ კმაროდა, კოლმეურნების თავმჯდომარე მოელაპარაკა ბუბალტერს და მისგან შეიძინა 10 ბატი, თითო ბატში უნდა გადაჭადა ფუთი ქერი. ეს 10 ბატი 40 ქათამად ჩათვალეს (ხეცვლი) და, ამრიგად, ფერმაში გამოვიდა 110 ფრთა ფრინველი. კოლმეურნების გეგმით 100 ფრთა უნდა ჰყოლოდა და მან გეგმის 10 პროცენტის გადაბრებით შესრულება აჩვენა. მაგრამ ბატები ფერმაში ნამდვილად არავის არ უნახავს, რადგან ბუბალტერს ქერი არ მისცეს და მან თავისი „საქონელი“ თავისოფას დაიტოვა...“

ამხ. კ. ჩარცელის მოხსენებიდან  
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

\* ბოლოში ეინდოთ იმ ამხანაგების წინაშე, რომელთა პორტრეტული მხევასხება არ იქნა დაცულა ამ შეგობრული შარების დახატვის დროს. ეს ჩემ განზრას ჩავიდინეთ, რადგან გვერდი, რომ აქ მოყვანილი ფაქტები ზოგ სხვა ამხანაგების ახასიათებს, ბედნიერი შემთხვევა ეძლევა მას გაფრთხილებად მიიღოს ეს მხილება...

მხოლებული ამხანაგები კი, ვიმორებთ, ნუ დაგვემდურებან მათი სახეების „უატიპიურებაში“. ბოლოს და ბოლოს ჩემ შეგვიძლია ყოველი მათების ფოტოსურათი დაგრეჭდოთ მომავალში, თუ ამას კიდევ უაიმსახურებენ და გაიმორებენ იმას, რაც არ უნდა განმეორდეს...



პაემანზე ბრძანდებოდა,  
ისე როგორც სვავთან სვავი,—  
ტრუმენი და მაკარტური—  
ორივ ერთად დასაწვავი!

რა ვქნათ! ღხინი ღხინად გვიღინს  
და საქვეყნო ჭირი—ჭირად! —  
ჭირერი და მუსორინიც  
თათბირობდნენ ასე ზშირად...

## შორუმი ამბები

„ბიბაზილის“ მიმადინოვანი

ამას წინათ, ლონდონში, დიუნინგ-სტრიტის № 10 სახლთან შეჩერდა ვილაც გამვლელი და იმ ფანჯარის, სადაც ინგლისელი ლეიბორისტების მამამთავრი ეტლი ცხოვრობს, ვეებროვლა ქეთა სთხლიშვა. გამვლელი საბარებო მანქანის შოფერი გახლდათ. იგი სასწრაფოდ დააპატიმრეს და პოლიციის გზას გაუყენეს, მაგრამ ციხის ჩარჩობს იმ გარემოებამ გადაარჩინა, რომ გვარად ტრუმენი აღმოჩნდა.

სალად მოაზროვნე არც ერთი ინგლისელი არ გაუკვირვებია პოლიციის მიერ გამოჩენილ ლმობიერებას, რადგან ამ შოფრის, არტურ ტრუმენის მეგვარებ, პარი ტრუმენშა კარგა ხანია ბატონ ეტლის კარი შეუმტკრიი და ამ „უბრალი“ მოვლენასაც ინგლისელი ლეიბორისტები გულმშვიდად შეცყურებენ.

## გულშეჩვილო ცეულენი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად გააფთრებული სამხედრო მხადებისა, დღითიდლე იზრდება უმუშევართა რიცხვი. განსაკუთრებულ თავსატებს მდგომარეობაში აგდებს ამერიკის მმართველებს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებული 750 ათასი სპეციალისტის სამუშაოზე მოწყობა, რომელთა ერთ ნაწილს ბედმი გაუდინა და ოფიციანტად, მეზოვედ, ან შესაფლავედ მოეწყო.

სასწავლო წლის დამთავრებისთანვე კალიფორნიის უნივერსიტეტის კედლები ააჭრელა სტუდენტთა „ლია ბარათებმა“. ერთ ასეთ ბარათში ეწერა: „მზად ვარ დავტოვო ეს ქალაქი, შტატი და პლანეტაც კი, თუ სადმე მუდმივ სამუშაოს ვიშვინი“.

უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული და ასეთი გულუბრყვილო კაცი ჯერ არავის უნახავს. განა ძნელი მისახედრია, ლია ბარათის ავტორის მაგიერ გინ უნდა დატოვოს „ეს ქალაქი, შტატი და პლანეტაც კი“, რომ ამერიკის უმუშევართა მილიონებმა სამუშაო იშოვნონ?

## ჟეზინეგული ქაღლი

პოლივულმა შეწყვიტა ფილმის გადაღება, რომელიც ამერიკელი ცნობილი მწერლის ლონგფელოს პოემის „ჰაიაგატას“ მიხედვით წარმოებდა. ფილმის გადაღების შეჩერების მიხეხად მხოლოდ ის გახდა, რომ იმ ეპიზოდებს, სადაც ჰაიაგატი იძრდვის ინდიელთა ტომებს შორის მშვიდობის დამყარებისათვის, შეიძლებოდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება შეექმნა. ეს კი „დიდად სასარგებლო იქნებოდა კომუნისტებისათვის“.

სწორედ ასეთი შემთხვევის დროს იტყვიან ხოლმე: „შეშინებული ძაღლი მოვარეს უყეფდაო“.

## პურიშევის არაირის გამო

თვალი კი იშვიათია ისეთი სიჩუმე, როგორიც ამ სალაშის ჩემს ოჯახში გახლდათ. ბავშვები, — ხმაურის მთავარი სტატები, კუთხეში მიიღუდნენ და ერთმანეთს ჩურჩულით უზიარებდნენ გავლილი დღის შთაბეჭდილებებს. პაპა და ბებია თავისთვის ტახტზე ჩამომსხდარი ჩიფჩიფებდნენ. მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში გარდაცვლილ ნათლიმამის შეცოდებით გულს იოხებდნენ. მე წიგნს უხმოდ გვითხულობდი, ხოლო ჩემი მეულე, როგორც მას წესადა აქვს, მეზობლის იმ კაბაზე მეჩურჩულებოდა, წინადღეს რომ შეიკერა.

ოჯახის ბებიამ წინდას ჩხირი გამოაძრო და მოულოდნელად წამოიძახა:

— უი, ქა, ნატისუსალი დგას, ვერა გრძნობო? იმავ წამს ყველამ ერთად გავამახვილეთ ყნოსვა, ცხვირები ავამუშავეთ და ყველაზე პირველად პაპას შარგალს ვეცით, რადგან იგი პაპიროსს სწევდა.

— მთვრალი ხომ არა გარ! — იწყინა პაპა. — იმდენი საქმის გამქეთებელს, ამ სიბერეში ჩემი ტანსაცმელილა მაბარია და იმასაც ველარ მოვუვლი?

ბებიამ კი ახალი რამ აღმოაჩინა:

— ქა, ნატისუსალი კი არა, დამწვარი რეზინის სუნი დგას!

ოთახში მართლაც დამწვარი რეზინის სუნი იდგა.

ახლა უკვე პაპა აღარ ჰგადებდა ეჭვს. იერიში ელექტროგავგანილობაზე მივიტანეთ. ელექტროზონ-რის ყოველი ციდა როგორც ხელით, ისევე ცხვირით ზეგამოწევ და მშვიდობით გადარჩენის შესახებ დასკვნის გამოტანა ვერც კი მოვასწარი, რომ ბებიამ კვლავ ახალი მოსაზრება წამოაყენა:

— ქა, დამწვარი რეზინის კი არა, შეტრუსული თმის სუნი დგას!

რძალმა ველარ მოითმინა:

— მაღლობა ლმერთს, თავზე არავის გვიყიდია ცეცხლი!

დედამთილმა დააბოლოვა:

— ჩენ თუ არა, მეზობელს ხომ შეიძლება ეჭიდოს! და მომიჯნავის კარის ჭურუტანას მიაღო ცხვირი. პაპის შესუნთქვის შემდეგ თქვა:

— ქა, გოგიას ხომ არ უკიდია ცეცხლი, მგონი დღეს მთვრალი მოვიდა, თორემ ასე ადრე რა დაძინებდა!

— მართალია, მგონი მთვრალი იყო. — დაუდასტურა რძალმა და დედამთილს სიხარულით თვალები გაუბრწყინა, რადგან ამ დღეს ეს პირველი თანხმობა იყო რძლისგან მიღებული.

ხანდარი ისეთი მოვლენაა, რომელსაც დაეჭვება-შემოწმება ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელს შეუწყობდა, და პირდაპირ ჩენი მეზობელი სტუდენტის გოგიას კარს ვეკვეთეთ:

— გოგი, გძინავს, კაცო? — დავუძახე მე და თან მონდომებულად დავუკაცენე.

ბავშვები აფორიაქდნენ.

— სად არის, მამიკო, ხანდარი?

— მამიკო, აღი რატომ არ ამოდის?

სულ პატარა კი გაიძახოდა:

— მამილო, გოგია ძიას უკიდია ცეცხლი? მეზობელმა მეზობელს გასძახა, მდგმურმა მდგმურს შეატყობინა და მთელი ეზო აფორიაქდა.

— რა დროს გადაუჭრეს ტელეფონი გენოს, იმ უსინდისოებმა, — ხმამაღალი სინანული გამოთქვა ერთმა მათგანმა. — ახლა საიდან შევატყობინო სახანძრო დაცვას!

გოგიას გამოეღვიძა.

— რა ამბავია? — ლოგინიდანვე იყითხა მან, მაგრამ ჩემს პასუხს ვიღამ დაუცადა, „ხანდარი, ხანდარო“,



— ჩემო განო, დაგვიზამთხდა, იქნებ ახლა მანც დავჯადეთ და გიფექროთ ჩენი ესტრადის რეპერტუარის განახლებისათვის.

— ეს, ჩემო სანდრო, ზაფხულში მიკლავდა გულს, ახლა კი რა ზაქვს სადარდელი, ლია ესტრადაზე ხომ არ გამოგიყვანთ, რომ ვინგებ მიგატოვოთ და ბალში იხეინოს!.. დავკეთავ კარებს და თქვენს რეპერტუარს მოუხმენს ხალხი, ამა, რა იქნება!

ჩაეწეთა თუ არა უურში, ნახევრად შიშველმა წყლით საეს ვეღროს წამოავლო ხელი და აიგანზე გამოძუძულდა:

— სად არის ხანდარი, სად არის ხანდარი? — ნახევრად მძინარე გაიძახოდა იგი და ვეღროს დაარბენინებდა.

გოგიას მშვიდობით გადარჩენაც რომ საეჭვო აღარ გახდა, ოჯახის წევრების მობილიზაცია გავუკეთე და დაგავალე მეზობლებისთვის ეცნობებინათ განგაშის დამთვრება.

ნახევარი საათის ხმაურის შემდეგ ცველა დაშოშმინდა. ჩემი ოჯახის წევრებმაც თავისი აღგილები გაინაწილეს და პაპამ კვლავ პაპიროსი გააბოლა.

ნახევარი წუთის შემდეგ ოთახში კვლავ უცნაური სუნი დადგა. ვერ გაიგებდით რეზინი იწვოდა, თივა, ჩეარი თუ თმა.

ჩემი ოჯახის წევრების გაკვირვება ზენიტს მიუახლოედებოდა, რომ პაპას არ ვეხსენით:

— სულ ამ ოხერის ბრალი ყოფილა! — თქვა მან და თბილისური წარმოების სიგარეტი „პრიმა“ ჩააქრო.

ვ. ივანიშვილი



# ქართველი ძროხა, როგორც ახდენ



რას წარმოადგენს ძროხა, როგორც ასეთი? რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მას?

როგორ თუ რა? ძროხა ხომ პროდუქტების მთელი ფაბრიკაა, თუ გნებავთ, მთელი კომბინატიოც: ჯერ მარტო ხორცის თვალსაჩრიასით რომ ავილოთ. ახლა მისი ტყავი, მისი ბალანი! რქები! (გაიხსენეთ რუხი, შავი და ცისფერი ყანწები), ხოლო ჩლიქები შესანიშნავი მასალაა წებოსათვის! ჩლიქებისა და შიგნეულისაგან ხომ ისეთი ხაში კეთდება, რომ თუ ნიცრით ზომიერად შეაზავებთ, შიგ თითებს ჩაიკვნეტ, კუდის ბოლო რა არის, თვით კუდის ბოლოც. კი— სუფრის საგველად გამოგვაღება.

ჰკითხეთ თუნდაც რომელიმე რიგითი ყასაბს, უმალ ისეთი აღფრთოვანებით ჩამოგითვლით ძროხის მთელ სიმდიდრეს, რომ სუფრის გაშლა მოგენატრებათ.

— რაო? ძროხაო? — გეტყვით ის ხელების ფშვნეტით, — ვაჲხ, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! ძროხა ხომ მთელი მაღანია! საოული დაჲკრა — იარმუქას ააკეთდეს, მააშ! რას ინებებთ? ბეჭი გინდათ, თუ სუკის თავი? იქნებ ჩალალჯი გსურთ — ბოზბაშისთვისა? ან არტალის გუნებაზე ხომ არა ხართ, რომ ტვინიანი კანჭი მოვიკრათ? თუნდაც პურტები თქვით, ან მკერდის წვერი, რა ვიცი, იქნებ ჩიუი-პიუის სურვილი გქონდეთ და ჯიგარს ითხოვდეთ? მოკლედ, ძროხა მთელი გაშლილი სუფრაა-მეტქი!

ჴო, მართლა, კინალამ დაგვავიწყდა: ძროხა იძლევა რძესაც. თავის მხრივ რძეც მრავალნაირ პროდუქტად შეგვიძლია გაქციოთ!

თუკი ჯეროვანად მოვუვლით, გამოვკვებავთ, გაბალახებთ და ფურაეს მივაწვდით, ძროხა რძეს უხვად მოგვცემს, იმდენად უხვად, რომ ჩენ შეგვიძლია წინასწარ გავითვალისწინოთ მისი პროდუქტიულობა, მის მფლობელ კოლმეურნების გეგმაშიც შევიტანოთ და ის გადაქარბებითაც შევასრულოთ.

ჩენ ვიცით, თუ სასეზონო კვარტალში რტმელი წერტილი ნის კოლმეურნებიან რამდენი კილოგრამი რძეს წერტილი თითო საფურავე ძროხისაგან.

ეს უკვე ელემენტარული და ჩვეულებრივია. იმდენად ჩვეულებრივი, რომ ყველა რაიონში კოლმეურნების თავ-მჯდომარებ: ბრივადირმა თუ მწველელმა თავისი ხუთი თითვით იცის.

არ იციან მხოლოდ ასპინძისა და ახალციხის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნებიათა მესვეურებმა. საძოვრებით განთქმულ ახალციხის რაიონში, მაგალითად, სამი თვის წველის გეგმა 25 კილოგრამადე ჩამოიყვანეს მაშინ, როცა ვთქვათ, ქლუხორის რაიონში 138 კილოგრამს სწველიან, მესაქონლეობით განთქმულ ასპინძის რაიონში კი სამ თვეში თითო ძროხას 14 კილოგრამ რძეს ძლივს „გამორჩენენ“ მაშინ, როდესაც იმავე ქლუხორის რაიონში თითო ძროხის წველადობამ 138 კილოგრამს გადააჭარბა.

ახალციხელ-ასპინძელთა მაჩვენებლებს დამიხედეთ: ამაზე მეტს ხომ მათი თხებიც კი იწველიან!

რატომ დაემართათ ასეო? — იკითხავთ. იმიტომ, რომ მათ ძროხა მხოლოდ რძის ჩამომსხმელ მანქანად წარმოუდგენიათ. და რაკი მანქანა საერთოდ არც ბალახსა სძოეს, არც როშსა სჭამს და არც საძოვარზე დადის, ისინი არ აწუხებენ მეწველ ძროხებს ასეთი წვრილმანებით... შეუდგაშენ საწველელ ვეღროს და უწველავენ გამოფიტულ ცურს.

წკრ, ჩერ!.. ისმის წვეთ-წვეთად გამოძალული რძის ხშა! მაგრამ არც ვედრო იცხება, არც გეგმა სრულდება და არც ძროხა რჩება ძროხად: იგი ჩლიქებამდე დეფორმირებულად გამოიყურება.

მოდით და ამის შემდეგ იფიქრეთ — რა სუფრის გაშლა შეუძლიან ასეთი ძროხის შემყურებს?

ჩენს სურათზე წარმოდგენილი გახლავთ ასპინძურახალციხერი ძროხა, როგორც ასეთი.

ფრასადაცი




# გოსავლის უნარები



უნები მოსავალი აიღეს წელს  
ჩვენშა კოლმეურნებმა! ყურ-  
ძნის კრეფა და ყურ-  
ძნის დაწურვა, აკ-  
დოს აჭრა, ბაზაგის

მოდუღება და თათარაში ჩურჩხე-  
ლების ამოვლება მარტო ბავშვებს რო-  
დი ახალისებდათ, — თბილისდან მრავალი ფო-  
ტოკორესპონდენტი, მრავალი მხატვარი და მხატვრუ-  
ლი ნარცვევების ისტატი გაემზაგრა კახეთის, რომ წლე-  
ვანდელი მოსავლის გმირების სურათები გადაეღოთ, დაქართ-  
და აეწერათ. ასე გასინჯეთ, სპეციალური კინოექსედიცი-  
აც კი ესტუმრა ალაზნის ველს! ისე როგორც ყველა, წინან-  
დლის საბჭოთა მეურნეობაც სტუმართმოვარედ დაუხ-  
ვდა მოსულთ. კინომუშავებმა ბევრი იმუშავეს და ბევრი  
საჩუქარიც მიიღე — თამომწონე მასპინძლებმა მათ  
ავტოები აუგსეს ყურძნით, ჩურჩხელით. ამბობენ,  
აქა-იქ მაჭრით საესე დოქიც სჩანდაო. ვინ  
იცის!.. ეს ფოტოსურათი კი მათ შემდეგ  
მისულმა ჩვენმა ჩიტურესპონდენტმა  
გადაიღო... ეს ის საესე კალათებია,  
რომელთა გაზიდვაც ექსპედიციამ  
ვეღარ მოახერხა... ვერ ჩატია  
ბანქანებში. სწუხან თურმე წი-  
ნანდლელი მასპინძლები, —  
მართლაც, დროა: ხელ-  
ახალი რეისით გაიტანონ  
ეს კალათები, — უხევი  
მოსავლის უხვად  
ამღებმა ამ-  
სანა-  
ფებ-  
შა



ფოტოსურათი



მარ. ი. ქოქიაშვილისა

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო პოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი,  
უჩა ჭავარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მთადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილი. Сатирико-юмористический журнал „Ниангы“. Редакция и рисунки: Монастырь. № 42. Год. 3-10-49.

ხელმოჭ. დასაბ. 1950 წ. 24/X. სრამბა „ზარია კოსტოკა“. რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2464. გამოც. № 103. ტირ. 11.000. უფ06194



### თ ა ვ ა ს ა ვ ა რ ი

— ფირჩა „პერმანი“ ლებულობს შექვეთებს ატომური ბომბის საწინააღმდეგო თავშესაფრის აშენებაზე, რომელიც დაგიცავთ თქვენ ავრეთვე ჩადიაჭტიურ სხივებისაგან, ბაქტერიებისაგან და მომწამვლელ გაზებისაგან. თავშესაფრი იტევს ათ კაცს და იყი დაგიჯდებათ მხოლოდ 4.500 მარკა. ფასი წელმისაწვდომია! — დაიცავთ თქვენი ოჯახის სიცოცლე, სასწრაფოდ შეუკვეთოთ ჩვენს ფირმას თავშესაფრი!..

— ჩვენ თვით ატომური ბომბის წინააღმდეგ გიბრძოთ, სერ, ამაოდ დამაშვრალა თქვენი ფირმა!.. ჩვენ ლია ციხ ქვეშ მშვიდობას მოვითხოვთ. — ის არის ჩვენი თავშესაფრი!